პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ივნისი. კვირა, 1986 წ.
№ 116 (9207) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის ახალ იპოდრომზე ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. სურათზე, რომელიც ჩვენმა ზუგდიდელმა ფოტოკორესპონდენტმა მალხაზ ფიფიამ გამოგვიგზავნა, ცხენბურთში ჩოხატაურისა და აფხაზეთის ნაკრები გუნდების ფინალური შეჯიბრების მომენტია ასახული. ჩემპიონის წოდება აფხაზმა მხედრებმა მოიპოვეს.

მასალას ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

კავშირის თასის გათამაშება აფრონოგაში

ლევ გურამ ბიგანიშვილი

ბაკიევა. აფროსანთა საკავშირო თასის გათამაშების ბოლო ტურებში ამინდი რამდენჯერმე შეიცვალა. ამის გამო სტარტის მიცემა დიდხანს ვერ მოხერხდა. და ბრძოლა მძაფრი და საინტერესო გამოდგა.

„ვარსკვლავის“ კლასში სხვებზე ადრე მდგომარეობა თბილისელ ლევ ბიგანიშვილს ჰქონდა. გადატანილი რბოლა მან აზრიანად, ტაქტიკურად სწორად და, რაც მთავარია, ყურადღებით წარმართა. გუნდის II ადგილი ჰყოფნიდა საერთო-მარჯვებისთვის და მან მიაღწია კიდეც საწადელს.

უახლოეს მეტოქეს ლენინგრადელ ვ. სოლოვიოვს საქმე უკეთესად წაუვიდა, მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზისთვის ბრძოლას გამოეთიშა. სამაგიეროდ ესტონელმა ა. ვოლმერმა იყოჩაღა, რომელმაც საბოლოოდ ბელორუსიის წარმომადგენელ ს. ხორეცკის გაუსწრო. „ვარსკვლავის“ კლასში ადგილები ასე განაწილდა: 1. გ. ბიგანიშვილი (საქართველო), 2. ვ. სოლოვიოვი (ლენინგრადი), 3. ა. ვოლმერი (ესტონეთი).

დანარჩენ ნავებში პირველი ადგილები დაიკავეს: „მფრინავი ჰოლანდიელი“ — ი. კარპაკი (უკრაინა), „ტორნადო“ — ი. კონოვალოვი (რსფსრ), „სოლინგი“ — გ. შაიდუკო (მოსკოვი), „ფინი“ — კ. გორდეიკო (უკრაინა), „470“ — ტ. ტინისტე (ესტონეთი).





გუშინ რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში გამართული მასობრივი ღონისძიებებით დამთავრდა ველოსპორტის კვირეული. სპორტსაზოგადოებებმა „სპარტაკმა“ და „კოლმეურნემ“ თბილისში სანაპიროზე მოაწყო ხალხმრავალი შეჯიბრებები, რომელშიც ველოსპორტის მოყვარულებიც მონაწილეობდნენ. სურათზე სწორედ ამ ასპარეზობის ეპიზოდს ხედავთ.

„ლელოს“ რედაქციამ გუშინ ტურისტული ბილიკებზე მოუხმო თბილისელ ექიმებს. მარშრუტით: თბილისი — კუსტბა — მთაწმინდის პლატო მოწყობილ ლაშქრობაში ათასზე მეტი მედიცინის მუშაკი მონაწილეობდა. ეს ღონისძიება მიეძღვნა მედიცინის მუშაკთა დღეს. აქვე, სურათზე მოლაშქრეთა ერთი ჯგუფია აღბეჭდილი.

ალექსანდრე კოტორაშვილისა და ჯემალ კასრაძის ფოტოები.

...ნობილი — ...ელას ...ზრუნავი

...ფლიოს სამგზის ჩემპიონი ...ადრაკში მაია ჩიბურდანიძემ ...ებით მიმართა საქართველო... სახელმწიფო სპორტკომი... განცხადებაში ნათქვამია: „...ს საბჭოთა ხალხთან ერთად ...ი განვიცდი ჩერნობილის ატომ... ელექტროსადგურის ავარიით ...ულ უბედურებას. ამ ...ში დავბრუნდი თბილისი... შესაძლებლობა მეძლევა ...ადი წვლილი შევიტანო ...ბილის ატომური ელექტრო...ის ავარიით დაზარალებუ...ხმარების საქმეში — სპო...ტეტში შემომაქვს 300 მა... ...ბოვთ გადარიცხოთ იგი ...ბილის ფონდში.“

მაია ჩიბურდანიძე,
...ოფლიოს სამგზის ჩემპიონი ...ადრაკში.

„საქართველოს კომკავშირელი“ თბილისში გრუნდება

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი პეპი ბოპორიშვილი ფოთიდან გვატყობინებს-

ფოთში მხოლოდ ერთი მატარებელი შედის — თბილისი-ფოთი. წარმოიდგინეთ ფოთელთა სიხარული, როცა ბაქანს მიადგა ლამაზად გაფორმებული ლურჯ-წითელი აგიტმატარებელი „საქართველო, კომკავშირელი“.

ჩვენი აგიტბრიგადის საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც სპორტსახკომის მუშაკებმა შეადგინეს, რამოდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთ „ახალ კოლხეთში“... სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს დიდების მემორიალი, დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შეხვდნენ სამხედრო-საზღვაო ბრიგადის წევრებს. ასობით ადამიანი დაესწრო სპორტულ ფილმებს, მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. არც ფოთელები დარჩენილან ვალში: „ოქროს, ტბაზე“ საჩვენებელი პროგრამით გამოვიდნენ წყალმოთხილაობრეთა კლუბ „აიას“ წევრები, რომელთა შორის იყვნენ იუნიორთა რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულები ხათუნა კორკელია და გენადი პეტრუხინი. ბოლოს ამხანაგური შეხვედრა გამართეს თბილისის „დინამოსა“ და ადგილობრივი „კოლხეთის“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა.

... გუშინვე მატარებელმა თბილისისაკენ აიღო გზა.

საბჭოთა კავშირის თასზე

...ნ გაიმართა სსრ კავშირის ...ბურთო თასის მეთექვსმეტედ...ის მატჩები.

...ლისის „დინამოს“ ფეხბურ...ბმა თავიანთ მინდორზე მიი...ონის როსტოვის „როსტსე...“ (I ლიგა).

...ში დამთავრდა თბილისელთა ...ვებით ანგარიშით 2:0 (0:0). ...ები გაიტანეს ცაავამ (71 წ.) ...ავემა (77 წ.).

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

13.VI. კერეტარო. დანია-გფრ 2:0
13.VI. ნეცაუალკოიოტლი. შოტლანდია-ურუგვაი 0:0

დღეს მერვედფინალში ითამაშებენ:

მექსიკა-გულგარეთი სსრ კავშირი-ბელგია

მადლობა დახმარებისთვის

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მაისის დასაწყისში მყინვარწვერის ფერდობზე ქარიშხალში მოჰყვა ზაპოროჟიეს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი—ერთი დაიღუპა, სამს ხელ-ფეხი მოეყინა. ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისმა სამსახურებმა ყველაფერი იღონეს დაღუპულის ჩამოსასვენებლად და დაშავებულთა დასახმარებლად.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ზაპოროჟიეს სამედიცინო ინტიტუტის რექტორის ა. ვიზირისა და ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის ა. შულგას წერილი მიიღო. აი, რას წერენ ისინი: „ზაპოროჟიეს სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი და პარტიული კომიტეტი გულწრფელ მადლობას უხდის საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ა. მეტრეველს, საქართველოს ალპური კლუბის დირექტორს ნ. კანკავას, ამავე კლუბის მთამსვლელებს, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს მწვერვალ ყაზბეგზე გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებს.“

შიშს დიდი თვალები აქვს...

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის გელა ლეჟავას კომენტარი რედაქციაში შემოსულ მკითხველთა შეკითხვებზე

ჩვენი გაზეთის ბევრი მკითხველი მოგვმართავს თითქმის ერთნაირი შეკითხვით: „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიიდან რამდენიმე დღის შემდეგ კიევში გაიმართა დიდი სპორტული ღონისძიება, ჩატარდა „მშვიდობის ველორბოლეს“ პირველი სამი ეტაპი. ცნობილია ისიც, რომ კიევში უკვე დაიწყო და ახლო მომავალში ამავე ქალაქში ჩატარდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული შეჯიბრებები. ხომ არ მოახდენს რაიმე ზეგავლენას გაზრდილი რადიაქტიურობა შეჯიბრებების მიმდინარეობაზე, სპორტულ შედეგებზე და ბოლოს თავად სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე?“ რედაქციამ ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად მიმართა საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრს ᲒᲔᲚᲐ ᲚᲔᲟᲐᲕᲐᲡ საუბარს ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲐ და ჯანდაცვის სამინისტროს სანეიდსამმართველოს უფროსი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲨᲐᲕᲓᲘᲐ.

—ჩერნობილში მომხდარ ტრაგედიაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. საკავშირო და რესპუბლიკური პრესა, რადიო და ტელევიზია ყოველდღიურად გვაწვდიან ცნობებს. საგარეო საქმეთა სამინისტროში ეწყობა პრესკონფერენციები საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან. ვინც ამ ინფორმაციებს ადევნებს თვალყურს, მან იცის, რომ საშიშროება, რომელზეც გაზეთის მკითხველები ამახვილებენ ყურადღებას, ლიკვიდირებულია. რა თქმა უნდა, თეორიული რადიაქტიურობა კიევში ბოლო წლების ნორმასთან შედარებით გაზრდილია, მაგრამ ეს ათასჯერ ნაკლებია ახლა დაშვებულ ნორმებზე. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული სისტემის ეს ნორმები დიდი თადარიგითაა აღებული და იანგარიშება წლიური ჯამის მიხედვით. ასე რომ, კიევში არათუ ერთი კვირითა და ათი დღით ჩასულ სპორტსმენებს, არამედ ადგილობრივ მაცხოვრებლებსაც არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. მით უმეტეს ვერაფერი იმოქმედებს შეჯიბრებების მიმდინარეობასა და სპორტულ შედეგებზე. ამის ნათელი დადასტურება იყო „მშვიდობის ველორბოლა“, რომელიც საკმაოდ მაღალი შედეგებით აღინიშნა...

აქვე არ შეიძლება არ ითქვას, რომ იმ სამი ათასი ბავშვიდან, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებიან სტუმრად სახაფხულო არდადეგებზე, არც ერთს არა აქვს რაიმე სპეციფიკური დაავადება. თუ რომელიმე მათგანი ექიმების ზრუნვის ობიექტი გახდა, ეს გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ყველა ბავშვისთვის სასვენით „ჩვეულებრივი“ ავადმყოფობით.



ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ!

პრესაში ამახწინათ ძუნწი ცნობა გამოჩნდა ჩვენი ტანმოვარჯიშეების ტურნეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეგებ დაწვრილებით გვიამბოთ მასში ქართველი ოსტატის ეკა ზეთურიძის გამოსვლის შესახებ, რომელმაც, როგორც შევიტყვე, საკმაოდ კარგად იასპარეზა. საინტერესოა ისიც, თუ როგორ ემზადება ჩვენი ქალთა ტანვარჯიშის ლიდერი მომავალი დიდი ბატალიებისათვის.

ᲚᲐᲚᲘ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისი.

„შესანიშნავი შვიდეული“

ᲐᲡᲔ უწოდეს ჟურნალისტებმა საბჭოთა კავშირის სპორტულ ტანმოვარჯიშე ვაჟთა და ქალთა ნაკრებ გუნდებს, რომლებმაც ამასწინათ ტურნე გამართეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ცნობილია, ვაჟთა გუნდში საქართველოდან ვლადიმერ გოგოლაძე, ქალთა ნაკრებში კი ეკა ზეთურიძე გამოდიოდა.

თავდაპირველად ორი ქვეყნის ნაკრებთა ოფიციალური მატჩი გაიმართა. მოასპარეზეთ ქალაქ ბოსტონის 5-ათასადგილიანმა სპორტის სასახლემ უმასპინძლა. სამწუხაროდ, შეჯიბრების წინ ავად გახდა ჩვენი გუნდის ლიდერი ე. შუშუნოვა. შესანიშნავად გამოვიდა 17 წლის ტანმოვარჯიშე, თბილისის № 183 სამუალო სკოლის მეათეკლასელი, განათლების სამინისტროს სპორტსკოლის აღზრდილი, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მოსწავლე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დინამოელი ეკა ზეთურიძე (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რაისა პენკოვა). ჩვენი ტანმოვარჯიშე თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ასპარეზობას და ბოლომდე ლიდერობდა. ეკას (მან ყველაზე უკეთ შეასრულა ვარჯიში ხტომასა და წონასწორობაში), ფეხდაფეხ მისდევდა გროდნოელი ს. ლებედინსკაია.

დასკვნითი აკორდი (თავისუფალი ვარჯიში) უკეთესად აიღო ლებედინსკაიამ. მან 9,95 ქულა მიიღო, ეკამ — 9,85. ამრიგად, მრავალჭიდში ორივემ ქულათა თანაბარი რაოდენობა (39,35) მოაგროვა და საბოლოოდ მათ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. გამარჯვებულთა საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზეც ერთდროულად ორი გოგონა ავიდა — ისევ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ვ. კოლესნიკოვა და ნ. ფროლოვა.

გუნდურ ასპარეზობაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, გაიმარჯვეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა (უფროსი მწვრთნელები, შესაბამისად, ანდრეი როდიონენკო და ლეონიდ არკაევი).



ეკა ზეთურიძე და მწვრთნელი რაისა პენკოვა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამის შემდეგ გაიმართა ორი ქვეყნის ათლეტთა საჩვენებელი გამოსვლები. აღსანიშნავია, რომ ნიუ-ჰეივენის, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის სპორტის სასახლეები მაყურებლებს ვერ იტევდა. დასკვნითი თავისუფალი ჯგუფური ვარჯიში საბჭოთა და ამერიკელმა სპორტსმენებმა (სამ-სამი მონაწილე) ერთად შეასრულეს, რითაც მაყურებელთა აღტაცება გამოიწვიეს. საერთოდ სტუმართა გამოსვლები მეტწილად „ბის“-ზე მიდიოდა, განსაკუთრებით მოსწონდათ ეკა ზეთურიძის ვარჯიში.

— ახლა რა გეგმები გაქვთ — ვკითხეთ ეკას სანაპიროზე მდებარე სპორტული ტანვარჯიშის კომპლექსში მორიგი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ.

— დღეში ორ-სამჯერ ვვარჯიშობ, დაახლოებით რვა-ცხრა საათს. ვისვენებ მხოლოდ კვირაობით, ხუთშაბათობით კი ეგრეთ წოდებული განტვირთვის დღე მაქვს. წლეულს თითქოს კარგ ფორმაში ვარ. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ავადმყოფობის გამო გამიცდა საერთაშორისო ტურნირი „მოსკოვნიუსის“ პრიზზე. 19 მაისს ლესელიძეში მივემგზავრები სამკვირიან საკავშირო შეკრებაზე. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ქვეყნის უძლიერესი ექვსეულის შემადგენლობაში მონაწილეობას მივიღებ „კეთილი ნების თამაშებში“, რომელიც მოსკოვში ივლისში გაიმართება. სწორედ ამ შეჯიბრების შედეგებით შეირჩევა მსოფლიოს თასისთვის (ჰოლანდია, აგვისტო) მოასპარეზე ნაკრები. ბოლოს სასპარტაკიადო მოსკოვის (19-28 სექტემბერი) უნივერსალური დარბაზი — „ოლიმპიურის“ სატანვარჯიშო ფიცარნაგი მელის. ვეცდები ჩემს თანაგუნდელებთან ერთად არც აქ შევირცხვინო თავი.

ᲝᲗᲐᲠ ᲜᲝᲜᲯᲐᲫᲔ.

საქართველოს საჯელმწიფო [illegible] სპორტკომიტეტში

გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელზედაც განიხილეს ფიზკულტურულ-სპორტული და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მთელი რიგი საპრობლემო საკითხები.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები კალათბურთელთა ასპარეზობით დაიწყო. საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებმა კაუნასში გამართულ ამ შეჯიბრებაში წარუმატებლად იასპარეზეს და ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს. კოლეგიამ განსაკუთრებით მკაცრად იმსჯელა ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები გუნდის შესახებ. გუნდს დაგეგმილი ჰქონდა მესამე სპარიზო ადგილი. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სპორტსახკომის თამაშების განყოფილება, სპორტული საზოგადოება „დინამო“ მთელი სერიოზულობით არ მოეკიდნენ მოვალეობას და არარეალურად დაიგეგმა სპარიზო ადგილი. კოლეგიამ კატეგორიულად გააფრთხილა სპორტსახკომის სპორტული თამაშების სამმართველოს უფროსი რ. ხომერიკი, რომ თუ შედეგები სპორტის სხვა სახეობებშიც ასევე ზერელედაა დაგეგმილი, მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები. კოლეგიამ აღნიშნა ისიც, რომ სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. მეტრეველი არასერიოზულად, არარეალურად მოეკიდა პროგნოზირების წინადადებას და არ გაითვალისწინა რეალური შესაძლებლობები.

სპარტაკიადაზე საქართველოს კალათბურთელთა გამოსვლის შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მიიღეს გადაწყვეტილება ნაკრებ გუნდებში საერთო კრების ჩატარებისა და წარუმატებლობის მიზეზებზე კოლექტივში მსჯელობის შესახებ. სპარტაკიადის საერთო შედეგების შეჯამების დროს, კოლეგია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს.

მოისმინეს სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილების ინფორმაცია „ხალხთა IX სპარტაკიადისათვის საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მზადების შესახებ“. სპარტაკიადაზე მოსალოდნელი წარმატებების განსჯასთან ერთად მძლეოსნობის მთელ რიგ დისციპლინებში ჩამორჩენის მიზეზების გაანალიზებისას ხაზი გაუსვეს რეზერვის მომზადებაში დაშვებულ ხარვეზებს, ითქვა, რომ შეშფოთებას იწვევს თვით საქმისადმი ზოგიერთი სპეციალისტის დამოკიდებულება, საჭიროა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ერთიანი სისტემის, მძლეოსნობის, სრული „ინდუსტრიის“ შექმნისათვის.

კოლეგიამ ერთდროულად იმსჯელა „აფხაზეთის მძლეოსნობის ნაკრები გუნდის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეისწავლონ და კოლეგიაზე ცალკე განიხილონ აფხაზეთში მძლეოსნობის განვითარების მდგომარეობის საკითხი.

განიხილეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰოდაობის სახეობების შემდგომი განვითარების საკითხი. დღემდე გაწეული მუშაობა შეფასდა არადამაკმაყოფილებლად. მიღებული დადგენილება ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და მწვრთნელ-სპეციალისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

იმის თაობაზე თუ როგორ სრულდება კოლეგიის დადგენილება „IX სპარტაკიადისთვის მოფარიკავეთა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მზადების შესახებ“, კოლეგიამ მოისმინა სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის მ. სახვაძის ინფორმაცია.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისათვის საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მზადების საკითხის განხილვისას კოლეგიამ უყურადღება გამამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასპარტაკიადო გუნდს ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივების, პირველ ყოვლისა, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებმა. მზადების პერიოდში სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების გარდა დაგეგმილია ამხანაგური და საკონტროლო თამაშები.

ლანჩხუთის რაიონმა ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი მისცა რესპუბლიკას. მაგრამ ეს იყო ადრე. რატომ იკლო რაიონში აღზრდილმა ფეხბურთელებმა ოსტატთა გუნდებში? სპეციალისტების აზრით მუშაობა კვლავ ენერგიულად მიმდინარეობს, თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ კოლეგიის წევრებმა იქვე სამართლიანად შენიშნეს: სადაც კარგად მიდის მუშაობა, იქ დიდი სპორტიც უნდა იყოს, ლანჩხუთის „გურიაში“ კი ამჟამად თბილისიდან მიწვეული 9 ფეხბურთელი თამაშობს. ბოლო წლებში დიდ ფეხბურთში არ მოხულა არც ერთი წარმომადგენელი ლანჩხუთიდან. კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მასობრივ ფეხბურთში შეიქმნას ჭაბუკ ფეხბურთელთა აღზრდისა და პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა, შემდგომი დაოსტატების სისტემა.

სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონატში თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელთა გუნდის გამოსვლის შედეგების შესახებ კოლეგიამ მოისმინა გუნდის უფროსი მწვრთნელის გ. მაჭავარიანის ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხელბურთელებმა სამი ადგილით წაიწიეს წინ შარშანდელთან შედარებით, კოლეგიამ ქვეუნის ჩემპიონატში გუნდის გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

* * *

კოლეგიის სხდომაზე დღის წესრიგში იდგა აგრეთვე სპორტსახკომთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოს შექმნის, სპორტულ ობიექტების კაპიტალური მშენებლობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სპორტულ ბაზებზე სარემონტო სამუშაოების გეგმების შესრულების საკითხები. კოლეგიამ ორივე საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება. მოიწონეს ქ. თბილისში პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის ექსპერიმენტალური სისტემის შექმნის წინადადება. განხილული საკითხი რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სადირექტივო დადგენილებიდან. ამავე სხდომაზე მიღებულია დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სპორტულ ტანვარჯიშში ქალთა ნაკრები გუნდის რეზერვის მომზადების საქმიანობის მოწესრიგებას.

* * *

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ: ირაკლი ჯაფარიძე — სპორტსახკომის ზამთრის სახეობების განყოფილების გამგედ; თ. მჭედლიძე — თბილისი წყაროს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ; ბ. გეგუჩაძე წულუკიძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

პირველი სასწავლებელი პირველი იყო

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს საშუალო სამედიცინო სასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადა. სპარტაკიადა გაიხსნა ბორჯომში. რესპუბლიკის 13 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეები აქ შეეჯიბრნენ ერთმანეთს მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. მძლეოსნობაში და ფრენბურთში I ადგილები დაიკავეს თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის გოგონებმა. ტყვიის სროლაში ხუთმა გოგონამ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ფოთის სამედიცინო სასწავლებლის გუნდი. მაგიდის ჩოგბურთში ყველას თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებმა აჯობეს.

მოცურავეებსა და ფეხბურთელ გოგონებს თბილისმა უმასპინძლა.

ცურვაში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებმა, ფეხბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში კი თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებლის I ნაკრებმა იმარჯვა. მეორე ადგილზე ამავე სასწავლებლის მეორე გუნდი გავიდა.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისის პირველი სასწავლებელი, 2. თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელი, 3. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი.

Ბ. ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის სპორტკომიტეტის განყოფილების უფროსი.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მექსიკა—86

ბოლო მატჩები

მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო დღეს, 13 ივნისს, მეხუთე ჯგუფში ორი შეხვედრა იყო დარჩენილი. მათგან, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა დანიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩი. აქ წყდებოდა ჯგუფში პირველი ადგილის საკითხი, გამარჯვებული „შინ“ რჩებოდა, ქალაქ კერეტაროში, გარდა ამისა, ორივე ეს გუნდი ჩემპიონატის ფავორიტთა შორის ირიცხება. სპარესტიჟო მატჩს კი ყველა დიდი მონდომებით ატარებს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დანიის რამდენიმე უძლიერესი ფეხბურთელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კლუბებში თამაშობს, დასავლეთგერმანელი მწვრთნელი ზეპ პაონტეკი კი დანიელთა ნაკრების ხელმძღვანელია...

დასახული მიზნის მისაღწევად დანიელებს ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ ამ სპრესტიჟო მატჩში მათ უდიდესი მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს. მართალია, ბრძოლა უკიდურესად დაძაბული იყო, ორივე მხარე მთელი ენერგიით თამაშობდა, მაგრამ საერთო უპირატესობა, უდავოდ, დანიელებს ეპყრათ, ისინი უფრო მომგებიანად გამოიყურებოდნენ. გფრ-ის ნაკრებმა, თავის მხრივ, რამდენიმე მეტად სახიფათო, საგოლე მომენტი შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშეს დანიელთა მცველებმა და, განსაკუთრებით, მეკარე ლარს ჰიოგმა.

დანიელები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, გფრ-ის ნაკრების კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, ბურთი ზუსტად დაარტყა ოლსენმა, შესვენების შემდეგ კი ერიქსონმა მეორედ აიღო მეკარე შუმახერის კარი — 2:0.

დანიელები V ჯგუფში საუკეთესონი აღმოჩნდნენ, მაგრამ ამ მატჩში მათ დიდი დანაკლისი განიცადეს: თამაშის დასასრულს, 88-ე წუთზე, უხეშად ითამაშა გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ფრანკ არნესენმა, იგი მინდვრიდან გააძევეს, ეს კი ნიშნავს, რომ 18 ივნისს კერეტაროში, ესპანელთა წინააღმდეგ ზ. პაონტეკმა არნესენის ადგილზე, სათადარიგო ფეხბურთელი უნდა შეარჩიოს, ეს კი იოლი საქმე არაა.

13 ივნისის ბოლო მატჩში შოტლანდიის ნაკრებს ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გასულიყო, საამისოდ მას უნდა დაემარცხებინა ურუგვაის გუნდი, მაგრამ შოტლანდიელებმა ეს ვერ შეძლეს, ურუგვაელებმა ფრეს მიაღწიეს (0:0) და მერვედფინალშიც გავიდნენ. ამ მატჩში პირველსავე წუთზე მინდვრიდან გააძევეს ურუგვაელი ფეხბურთელი ხოსე ბატისტა, რომელიც 16 ივნისს ვერ ითამაშებს არგენტინელებთან.

ამრიგად, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების პირველი ეტაპი დამთავრდა, დღეს დაიწყება მერვედფინალური მატჩები.

მექსიკა. ჩემპიონატის პირველი ეტაპი

I ჯგუფი

იტალია — ბულგარეთი 1:1, არგენტინა — სამხრეთ კორეა 3:1, იტალია — არგენტინა 1:1, ბულგარეთი — სამხრეთ კორეა 1:1, იტალია — სამხრეთ კორეა 3:2, ბულგარეთი — არგენტინა 0:2.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	3	2	1	0	6-2	5
იტალია	3	1	2	0	5-4	4
ბულგარეთი	3	0	2	1	2-4	2
სამხ. კორეა	3	0	1	2	4-7	1

II ჯგუფი

მექსიკა — ბელგია 2:1, პარაგვაი — ერაყი 1:0, მექსიკა — პარაგვაი 1:1, ბელგია — ერაყი 2:1, მექსიკა — ერაყი 1:0, ბელგია — პარაგვაი 2:2.

მექსიკა	3	2	1	0	4-2	5
პარაგვაი	3	1	2	0	4-3	4
ბელგია	3	1	1	1	5-5	3
ერაყი	3	0	0	3	1-4	0

III ჯგუფი

საფრანგეთი — კანადა 1:0, სსრ კავშირი — უნგრეთი 6:0, საფრანგეთი—სსრ კავშირი 1:1, კანადა—უნგრეთი 0:2, საფრანგეთი — უნგრეთი 3:0, კანადა — სსრ კავშირი 0:2.

სსრ კავშირი	3	2	1	0	9-1	5
საფრანგეთი	3	2	1	0	5-1	5
უნგრეთი	3	1	0	2	2-9	2
კანადა	3	0	0	3	0-5	0

IV ჯგუფი

ბრაზილია — ესპანეთი 1:0, ალჟირი — ჩრდ. ირლანდია 1:1; ბრაზილია — ალჟირი 1:0, ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია 2:1, ბრაზილია — ჩრდ. ირლანდია 3:0, ესპანეთი — ალჟირი 3:0.

ბრაზილია	3	3	0	0	5-0	6
ესპანეთი	3	2	0	1	5-2	4
ჩრდ. ირლან.	3	0	1	2	2-6	1
ალჟირი	3	0	1	2	1-5	1

V ჯგუფი

გფრ — ურუგვაი 1:1, შოტლანდია — დანია 0:1, გფრ — შოტლანდია 2:1, ურუგვაი — დანია 1:6, გფრ — დანია 0:2, ურუგვაი — შოტლანდია 0:0.

დანია	3	3	0	0	9-1	6
გფრ	3	1	1	1	3-4	3
ურუგვაი	3	0	2	1	2-7	2
შოტლანდია	3	0	1	2	1-3	1

VI ჯგუფი

პოლონეთი — მაროკო 0:0, პორტუგალია — ინგლისი 1:0, მაროკო — ინგლისი 0:0, პოლონეთი—პორტუგალია 1:0, მაროკო — პორტუგალია 3:1, პოლონეთი — ინგლისი 0:3.

მაროკო	3	1	2	0	3-1	4
ინგლისი	3	1	1	1	3-1	3
პოლონეთი	3	1	1	1	1-3	3
პორტუგალია	3	1	0	2	2-4	2

მერვედფინალში თამაშობენ:

15 ივნისი. მეხიკო. მექსიკა — ბულგარეთი
15 ივნისი. ლეონი. სსრ კავშირი — ბელგია
16 ივნისი. გვადალახარა. ბრაზილია — პოლონეთი
16 ივნისი. პუებლა. არგენტინა— ურუგვაი
17 ივნისი. მეხიკო. იტალია — საფრანგეთი
17 ივნისი. მონტერეი. მაროკო — გფრ
18 ივნისი. მეხიკო. ინგლისი — პარაგვაი
18 ივნისი. კერეტარო. ესპანეთი — დანია

არგენტინა — ბულგარეთი 2:0. არგენტინელ ვალდანოს პირველი გოლი ბულგარეთის ნაკრების კარში.

იტალია — სამხრეთ კორეა 3:2. იტალიელ ალტობელის (მარჯვნივ) მესამე ბურთი გააქვს სამხრეთკორეელთა ნაკრების კარში.

რეიტერ-ხაკდეს-საქინფორმის ტელეფოტოები.

ჩემპიონატის სტატისტიკა

მატჩი №27. სამხრეთ კორეა — იტალია 2:3 (0:1). I ჯგუფი. პუებლა. 10 ივნისი. გოლები: ალტობელი-3 (იტალია), ცოი სუნ ხო, ხუ ე ბუ (სამხრეთ კორეა). ალტობელიმ 37-ე წუთზე ვერ გაიტანა 11-მეტრიანი. მსაჯი დ. სოხა (აშშ). 12.000 მაყურებელი. გააფრთხილეს კიმ ჩეუ სუნი, პაკ ხუნ ხუ (სამხრეთ კორეა), ბანი, შირეა, ვერხოვოდი (იტალია).

მატჩი №28. არგენტინა — ბულგარეთი 2:0 (1:0). I ჯგუფი. მეხიკო. 10 ივნისი. გოლები: ვალდანო, ბურუჩაგა. მსაჯი ბ. მორერა (კოსტა-რიკა). 35.000 მაყურებელი. გააფრთხილეს არგენტინელი კუსიუფო.

მატჩი №29. ერაყი — მექსიკა 0:1 (0:0). II ჯგუფი. მეხიკო. 11 ივნისი. გოლი: კირარტე. მსაჯი ზ. პეტროვიჩი (იუგოსლავია). 108.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ერაყელი ფეხბურთელები მინშიდი და ხ. ალაუი.

მატჩი № 30. პარაგვაი — ბელგია 2:2 (0:1). II ჯგუფი. ტოლუკა. 11 ივნისი. გოლები: ვერკოტერენი, ვეიტი (ბელგია), კაბანასი-2 (პარაგვაი). მსაჯი ბ. დოჩევი (ბულგარეთი). 10.000 მაყურებელი. გააფრთხილეს პარაგვაელი ფეხბურთელი რომერო.

მატჩი №31 პორტუგალია — მაროკო 1:3 (0:2). VI ჯგუფი. გვადალახარა. 11 ივნისი. გოლები: ხაირი-2, კრიმო (მაროკო), დიამანტინო (პორტუგალია). მსაჯი ა. სნოდი (ჩრ. ირლანდია). 22.000 მაყურებელი.

მატჩი №32. ინგლისი — პოლონეთი 3:0 (3:0). VI ჯგუფი. მონტერეი. 11 ივნისი. გოლები: ლინეკერი-3. მსაჯი ა. დაინა (შვეიცარია). 23.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ინგლისელი ფენვიკი.

მატჩი № 33. ჩრდილოეთ ირლანდია — ბრაზილია 0:3 (0:2). IV ჯგუფი. გვადალახარა. 12 ივნისი. გოლები: კარეკა-2, ჟოსიმარი. მსაჯი ზ. კირშენი (გდრ). 45.000 მაყურებელი, გააფრთხილეს ჩრდილოეთირლანდიელი დონახიუ.

მატჩი № 34. ალჟირი — ესპანეთი 0:3 (0:1). IV ჯგუფი. მონტერეი. 12 ივნისი. გოლები: კალდერე-2, ელოი. მსაჯი შ. ტაკადა (იაპონია). 10.000 მაყურებელი. გააფრთხილეს მაჯერი (ალჟირი) და გოიკოეჩეა (ესპანეთი).

მექსიკური მოზაიკა

⊙ **ინგლისელ** ნახევარმცველს ჰოდლს საფეხბურთო სამყარო ჯერ არ იცნობს როგორც უმაღლესი კლასის, გამოჩენილ ფეხბურთელს, მაგრამ თვით იგი სულ სხვა აზრისაა საკუთარ თავზე. მექსიკის ჩემპიონატის დაწყების წინ გ. ჰოდლმა განაცხადა, რომ ღირსეულად დაიკავებს ადგილს მიშელ პლატინისა და დიეგო მარადონას გვერდით, გარდა ამისა, მან დაბეჯითებით თქვა, რომ ევროპელები, პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, გამარჯვებას იზეიმებენ ამერიკის კონტინენტზე.

⊙ **სტატისტიკამ** აღნიშნა მსოფლიო ჩემპიონატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ჟან-პიერ პაპენმა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ შეჯიბრებათა ისტორიაში 1.200-ე გოლი გაიტანა.

⊙ **მექსიკაში** მყოფი პრესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების შემდეგ მექსიკაში მკვეთრად გაიზარდა ფასები. კერძო ფირმებმა, მაგალითად, გვადალახარაში 300 და მეტი პროცენტით გააძვირეს ფასები პროდუქტებზე. მექსიკის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლის ალეხანდრო მიჩელის განცხადებით, მთავრობა საგანგებო ზომებს მიმართავს ფასების მოსაწესრიგებლად.

⊙ **პრესაში** უკვე გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ მეხიკოს ყველაზე უფრო ხალხმრავალ ადგილებზე დაიდგა ვეება ტელეეკრანები, სადაც მსურველები უფასოდ უყურებენ ჩემპიონატის მატჩებს. ფირმებმა ხარჯი გასწიეს ამ ტელეეკრანების დასამონტაჟებლად, მაგრამ მათ დიდი მოგება აქვთ: ადამიანები საათობით ჩერდებიან ქუჩაში, ყიდულობენ საუზმეს, ხილს, გამაგრილებელ წყლებს, ნაყინს, სუვენირებს, მიირთმევენ ყავას, ეს კი ძალზე დიდი შემოსავალია ბიზნესმენებისთვის.

⊙ **მეხიკოს** „აცტეკის“ სტადიონზე ჩემპიონატის დღეებში სასტიკად აკრძალულია ტრიბუნებზე ბოთლების შეტანა. მინის ტარასთან ერთად აკრძალეს ხმაურიანი საკრავებისა და შუშხუნების შეტანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტ-ბაკადრაკი

კარპოვის ოპტიმიზმი

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში დამთავრდა დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა უმრავლესობა მონაწილეობდა.

დასკვნითი, XIV ტურის წინ პორტიშმა გადადებული პარტია მოუგო ტიმანს, იუსუპოვმა — მაილსს.

XIV ტურში ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. კარპოვი დაუზავდა მაილსს, იუსუპოვი — სოკოლოვს, სპასკი — ტიმანს, პორტიში — ლიუბოევიჩს.

ტურნირის საბოლოო შედეგები: I. ანატოლი კარპოვი — 8 ქულა, II-III. ანდრეი სოკოლოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 7,5-7,5, IV-VI. ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ბორის სპასკი (საფრანგეთი), არტურ იუსუპოვი (სსრ კავშირი) — 7-7, VII. ენტონი მაილსი (ინგლისი) — 6, VIII. — იან ტიმანი (ჰოლანდია) — 5,5.

ჟურნალისტებთან საუბარში კარპოვმა თქვა: რა თქმა უნდა, მახარებს ესოდენ წარმომადგენლობითი შეჯიბრების მოგება, მაგრამ პირველი ადგილი არ იყო ჩემი თვითმიზანი. გარდა ამისა, მე არ მინდოდა გამემჟღავნებინა მომავალი მატჩ-რევანშისთვის ჩემი სამზადისის ზოგი საიდუმლოება. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ მესამე შეხვედრა გარი კასპაროვთან საინტერესო იქნება. რაც შეეხება შედეგის პროგნოზს, რამდენადაც ოპტიმისტი ვარ, ჩემპიონის სახელის უკან დაბრუნების იმედი მაქვს.

ელვა-ინფორმაცია

მეორე ეტაპის მსაჯები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ განაწესა მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ნერვედფინალური მატჩების არბიტრები.

15 ივნისი. მექსიკა — ბულგარეთი. რ. არპი-ფილიო (ბრაზილია).

15 ივნისი. სსრ კავშირი — ბელგია. ე. ფრედრიქსონი (შვეცია).

16 ივნისი. არგენტინა — ურუგვაი. ლ. ანოლინი (იტალია).

16 ივნისი. ბრაზილია — პოლონეთი. ფ. რუტი (გფრ).

17 ივნისი. იტალია — საფრანგეთი. ტ. ესპოზიტო (არგენტინა).

17 ივნისი. მაროკო — გფრ. ზ. პეტროვიჩი (იუგოსლავია).

18 ივნისი. პარაგვაი — ინგლისი. ჯ. ალ-შერიფი (სირია).

18 ივნისი. დანია — ესპანეთი. ი. კაიზერი (ჰოლანდია).

მეოთხედფინალურ შეხვედრათა არბიტრებს დანიშნავენ 18 ივნისს საღამოთი.

დარასელიას სახელოვნების თასზე

ბათუმში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა გამორჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. ამჯერად საჯასპარეზოდ 16 გუნდი შეიკრიბა.

ფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს „დინამოსა“ და „სპარტაკის“ კოლექტივებმა. დინამოელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს და ზედიზედ მეორედ დაისაკუთრეს ეს საპატიო ჯილდო — გარდამავალი ბროლის თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

ოთარ მურვანიძე.

ბათუმი.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ჩემპიონები გამოვლინდნენ

კიევი. კალათბურთელთა სასპორტაციადო ტურნირის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გამოვლინდნენ ჩემპიონები. ქალთა შორის ოქროს მედლები რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ეს გუნდი სვერდლოვსკის, მოსკოვის ოლქის, გორკის, ნოვოსიბირსკის, ვოლგოგრადის, კრასნოიარსკისა და პენზის კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული და, ცხადია, ტურნირის მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა. ბოლოსწინა ტურში რუსეთის ფედერაციის გუნდმა ბელორუსიის კალათბურთელები დაამარცხა — 78:55.

უკრაინის ნაკრებმა აზერბაიჯანის კოლექტივს აჯობა — 88:57. ორ სხვა შეხვედრაში კი ბრძოლა უაღრესად დაძაბული და მძაფრი იყო. ლენინგრადელებმა მხოლოდ ერთი ქულით სძლიეს ყაზახეთის კალათბურთელებს — 65:64, მოსკოვისა და ლიტვის გუნდების შეხვედრაში კი პირველებმა იმარჯვეს — 74:65.

ჩემპიონი ვაჟთა შორისაც გამოვლინდა. გამარჯვებული გუნდი უკრაინა — რსფსრ-ს კალათბურთელთა შეხვედრამ დაასახელა. უკრაინელებმა მეტოქე ანგარიშით 88:65 დაამარცხეს და ტურით ადრე პირველი ადგილი გაინაღდეს. ყაზახეთისა და ესტონეთის კალათბურთელთა ურთიერთშეხვედრის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა. გამარჯვება ყაზახეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 71:70.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვი—ლენინგრადი 69:63, ლიტვა-ლატვია — 74:65.

ისვენებენ, იწრთობიან...

როგორც ცნობილია, ცხვარიჭამიის პიონერულ ბანაკებში წელს ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებთან ერთად, ზაფხულის არდადეგებს მათი უკრაინელი თანატოლებიც გაატარებენ. მოძმე უკრაინის პიონერები ამას წინათ ჩავიდნენ ცხვარიჭამიაში. პიონერთა ამ ქალაქს ყურადღებას არ აკლებენ ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, სპორტულმა საზოგადოებებმა სპორტული ინვენტარით მოამარაგეს ბანაკები.

ამ დღეებში გაიხსნა საბანაკო სპარტაკიადა. სურათზე, რომელიც „ლელოს“ კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო, აღბეჭდილია პიონერულ ბანაკ „მშენებელში“ გამართული შეჯიბრების მომენტები.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გათამაშების კალენდარი

II წრე

უმაღლესი ლიგა

XVI ტური

8 ივლისი. სამშაბათი. „დნეპრი“ — „ქაირათი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ მ., „სპარტაკი“ — „დინამო“ მნ.

9 ივლისი. ოთხშაბათი. „ზენიტი“ — „ნეფთჩი“, „ჟალგირისი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „ტორპედო“ ქ., „მეტალისტი“ — „დინამო“ თბ.

XVII ტური

12 ივლისი. შაბათი. „დნეპრი“ — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“, „სპარტაკი“ — „დინამო“ კ.

13 ივლისი. კვირა. „დინამო“ მ. — „დინამო“ მნ., „ზენიტი“ — „არარატი“, „ჟალგირისი“ — „ნეფთჩი“, „შახტიორი“ — „დინამო“ თბ., „მეტალისტი“ — „ტორპედო“ ქ.

16 ივლისი. ოთხშაბათი. „დნეპრი“ — „სპარტაკი“, „ტორპედო“ მ. — „დინამო“ კ.

XVIII ტური

20 ივლისი. კვირა. „ტორპედო“ ქ. — „ზენიტი“, „დინამო“ თბ. — „ჟალგირისი“, „ნეფთჩი“— „შახტიორი“, „არარატი“ — „მეტალისტი“, „ქაირათი“ — „დინამო“ მ, „დინამო“ მნ. — „დნეპრი“, „დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“.

21 ივლისი. ორშაბათი. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“.

XIX ტური

24 ივლისი. ხუთშაბათი. „ტორპედო“ ქ. — „ჟალგირისი“, „დინამო“ თბ. — „ზენიტი“, „ნეფთჩი“ — „მეტალისტი“, „არარატი“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ კ. — „დნეპრი“.

25 ივლისი. პარასკევი. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ მ., „ქაირათი“ — „სპარტაკი“.

XX ტური

29 ივლისი. სამშაბათი. „ტორპედო“ მ. — „ქაირათი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ კ.

30 ივლისი. ოთხშაბათი. „დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“, „სპარტაკი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჟალგირისი“, „მეტალისტი“ — „ზენიტი“, „დინამო“ თბ. — „ტორპედო“ ქ., „არარატი“ — „ნეფთჩი“.

2 აგვისტო. შაბათი. „დინამო“ კ. — „ქაირათი“.

9 აგვისტო. შაბათი. „სპარტაკი“ — „ტორპედო“ მ.

16 აგვისტო. შაბათი. „დინამო“ კ. — „დინამო“ მნ.

XXI ტური

25 აგვისტო. ორშაბათი. „დნეპრი“ — „დინამო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“, „ზენიტი“— — „შახტიორი“, „ჟალგირისი“ — „მეტალისტი“, „ნეფთჩი“ — „ტორპედო ქ., „არარატი“ — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ მ. — „დინამო“ მნ.

XXII ტური

30 აგვისტო. შაბათი. „დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. —„ ქაირათი“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“ მ.

31 აგვისტო. კვირა. „სპარტაკი“ — „დნეპრი“, „ზენიტი“ — „ჟალგირისი“, „შახტიორი“ —„მეტალისტი“, „ტორპედო“ ქ. — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „ნეფთჩი“.

3 სექტემბერი. ოთხშაბათი. „ქაირათი“ — „დინამო“ კ.

XXIII ტური

7 სექტემბერი. კვირა. „ზენიტი“ — „სპარტაკი“, „ჟალგირისი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „დნეპრი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ კ., „ტორპედო“ ქ. — „ქაირათი“, „დინამო“ თბ. — „ტორპედო“ მ., „ნეფთჩი“ — „დინამო“ მნ., „არარატი“ — „ჩერნომორეცი“.

XXIV ტური

11 სექტემბერი. ხუთშაბათი. „ზენიტი“ — „დინამო“ მ., „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“, „შახტიორი“ — „დინამო“ კ., „მეტალისტი“ — „დნეპრი“, „ტორპედო“ ქ. — „ტორპედო“ მ., „დინამო“ თბ. — „ქაირათი“, „ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — „დინამო“ მნ.

XXV ტური

4 ოქტომბერი. შაბათი. „დინამო“ მ. — „მეტალისტი“.

5 ოქტომბერი. კვირა. „დნეპრი“ — „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“ — „ჟალგირისი“, „სპარტაკი“ — „შახტიორი“, „ქაირათი“ — „ნეფთჩი“, „დინამო“ მნ. — „ტორპედო“ ქ., „დინამო“ კ. — „დინამო“ თბ.

6 ოქტომბერი. ორშაბათი. „ტორპედო“ მ. — „არარატი“.

XXVI ტური

17 ოქტომბერი. პარასკევი. „დნეპრი“ — „ჟალგირისი“, „სპარტაკი“ — „მეტალისტი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ კ. — „ტორპედო“ ქ.

18 ოქტომბერი. შაბათი. „ტორპედო“ მ. — „ნეფთჩი“.

19 ოქტომბერი. კვირა. „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“, „დინამო“ მ. — „შახტიორი“, „ქაირათი“ — „არარატი“.

XXVII ტური

1 ნოემბერი. შაბათი. „ზენიტი“ — „ტორპედო“ მ., „ჟალგირისი“ — „ქაირათი“, „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ.— „სპარტაკი“, „ნეფთჩი“ — „დნეპრი“, „არარატი“ — „დინამო“ კ.

XXVIII ტური

9 ნოემბერი. კვირა. „ზენიტი“ — „ქაირათი“, „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ.— „დინამო“ მ., „ნეფთჩი“ — „დინამო“ კ.

10 ნოემბერი. ორშაბათი. „ჟალგირისი“ — „ტორპედო“ მ., „მეტალისტი“ — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“, „არარატი“ — „დნეპრი“.

13 ნოემბერი. ხუთშაბათი. „დინამო“ კ. — „მეტალისტი“.

XXIX ტური

15 ნოემბერი. შაბათი. „დინამო“ მ. — „ნეფთჩი“.

16 ნოემბერი. კვირა. „დნეპრი“ — „ტორპედო“ ქ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ — „არარატი“, „ქაირათი“— „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „ზენიტი“.

17 ნოემბერი. ორშაბათი. „ტორპედო“ მ. — „მეტალისტი“, „დინამო“ კ. — „ჟალგირისი“.

XXX ტური

21 ნოემბერი. პარასკევი. „დნეპრი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“— „ნეფთჩი“, „დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“, „დინამო“ კ. — „ზენიტი“.

22 ნოემბერი. შაბათი. „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ ქ., „დინამო“ მ. — „არარატი“, „ქაირათი“ — „მეტალისტი“, „ტორპედო“ მ. — „შახტიორი“.

25 ნოემბერი. ხამშაბათი. „ზენიტი“ — „დინამო“ კ.

29 ნოემბერი. შაბათი. „დინამო“ მ. — „დინამო“ კ.

3 დეკემბერი. ოთხშაბათი. „დინამო“ კ. — „შახტიორი“.

7 დეკემბერი. კვირა. „დინამო“ კ. — „დინამო“ მ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების კალენდარი

როგორც ვიტყობინებოდით, წლეულს ჩატარდება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე. შეჯიბრება დაწესებულია ჩვენი ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

წინასწარ 4 ჯგუფში თამაშები ჩატარდება წრიული სისტემით ერთ წრედ, გამარჯვებულები შემდგომში ბრძოლას გააგრძელებენ გამოთიშვითი წესით.

I ტური

21 სექტემბერი. კვირა. „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ თბ., „ნეფთჩი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“, „მეტალისტი“ — „ჟალგირისი“.

22 სექტემბერი. ორშაბათი. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“, „დინამო“ კ. — „დნეპრი“, „დინამო“ მნ. — „ზენიტი“.

23 სექტემბერი. სამშაბათი. „ტორპედო“ მ. — „ქაირათი“.

II ტური

26 სექტემბერი. პარასკევი. „სპარტაკი“ — „ქაირათი“, „დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“.

27 სექტემბერი. შაბათი. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ მ.

28 სექტემბერი. კვირა. „დინამო“ თბ. — „ნეფთჩი“, „არარატი“ — „ტორპედო“ ქ., „ზენიტი“ — „მეტალისტი“.

III ტური

12 ოქტომბერი. კვირა. „დინამო“ თბ. — „არარატი“, „ნეფთჩი“ — „ტორპედო“ ქ., „სპარტაკი“ — „ტორპედო“ მ., „ქაირათი“ — „დინამო“ მ., „დნეპრი“ — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ., „ჟალგირისი“ — „ზენიტი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ მნ.

26-27 ოქტომბერი. კვირა-ორშაბათი. ნახევარფინალები.

ფინალური მატჩის დღე და ადგილი გამოცხადდება ნახევარფინალურ შეხვედრათა ჩატარების შემდეგ.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 15 ივნისი. ასკ-ს სტადიონი. **„იმედი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი).** დასაწყისი 19 საათზე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია.

15 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20;** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მერვედფინალური შეხვედრა. ბულგარეთი — მექსიკა — **23.00 (1).**

16 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მერვედფინალური მატჩი — **10.00 (1);** მერვედფინალური მატჩი — **20.00 (1);** მერვედფინალური მატჩი — **23.00 (1).**

საქართველოს ტელევიზია.

15 ივნისი. სპორტული გადაცემა: „მობურთალსა მოედანი“ — **13.40;** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მერვედფინალური შეხვედრა. ბულგარეთი — მექსიკა — **23.00.**

16 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მერვედფინალური მატჩი — **10.00;** მერვედფინალური მატჩი — **20.00;** მერვედფინალური მატჩი — **23.00**

საქართველოს რადიო. 15 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15;** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

16 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15;** რიტმული ვარჯიში — **11.40.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი

19 ივნისს 13 საათზე ტექნიკუმში შემსვლელთათვის აწყობს „ლია კარის“ დღეს.

აბითურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და ტექნიკუმის მოსწავლეები. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე მათ უპასუხებენ დირექციის პარტიული და კომკავშირული კომიტეტების წარმომადგენლები. გაიმართება საუბრები ტექნიკუმის სტრუქტურის და სპეციალიზაციების სპეციფიკის შესახებ.

შარშანდელი მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502